# აჭარის ტელევიზია და რადიო

საზოგადოებრივი მაუწყებელი

## 2018 წლის I კვარტალის ანგარიში

ბათუმი

**სარჩევი**

1. შესავალი
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა
3. კვარტალის მიღწევა
4. კვარტალის გამოწვევა
5. „პროგრამა=პრიორიტეტს“ - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები
   რადიო - შედეგები და საჭიროებები
   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები
6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები
7. იურიდიული მხარდაჭერა
8. კვარტალის ტენდერები
9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა
10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა
11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები
12. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი
13. ჩვენი სხვა აქტივობები
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

## 1. შესავალი

გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში „აჭარის მაუწყებელი“ „მაუწყებელი“) 2018 წლის იანვარი, თებერვალი და მარტის აქტივობების შედეგები - პირველი კვარტალური ანგარიში.

მოგეხსენებათ, მაუწყებელი პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნითაა დაფუძნებული.

ორგანიზაცია საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესის სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით და მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამული პრიორიტეტებით.

#ვმუშაობთსაზოგადოებისთვის - ამ სლოგანის ქვეშ თანდათან ერთიანდება მაუწყებლის ყველა ატივობა, რადგან მთავარი კანონისმიერი ვალდებულებებია[1]:

- ✓ უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება
- ✓ უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ
- ✓ საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები
- ✓ პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი
- ✓ ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი
- ✓ ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით
- ✓ პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება
- ✓ ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები
- ✓ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ

[1] **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 16**

არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი

- ✓ ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- ✓ სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები
- ✓ უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია
- ✓ უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები დაიგეგმა და სრულდებოდა სწორედ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

ჩვენ სრულად ვაანალიზებთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის კარგად ინფორმირებული საზოგადოებაა საჭირო, საზოგადოება კი ვერ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ხარისხიანი მაუწყებლობის გარეშე.

ამიტომაცაა, რომ მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად ისე, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოში.

## 2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

აჭარის მაუწყებელშიგრძელდება მცდელობა შეიქმნას საქმიანობის წინასწარი დაგეგმვის სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული და სტარტეგიული გადაწყვეტილებების მიღების/განახლების საჭიროება და მოლოდინი არამყარს ხდის სამუშაო პროცესებს, წინასწარი თადარიგით სუსტად, მაგრამ მაინც ხდება შესაძლებელი მეტნაკლებად გამოიკვეთოს სამი თვის საჭიროებები და მენეჯმენტის მთავარი აქცენტები.

კვარტალის მთავარი დაგეგმარება, რომელსაც ერთგვარი ინდიკატორის ფუნქცია გააჩნია მაუწყებლის საქმიანობისათვის, რამოდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავდა:

1. **კვარტლის მთავარი ამოცანები:**
- ✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება
- ✓ შემოქმედებითი მიმართულებით სამუშაო პროცესების გაწერა და დახვეწა
- ✓ საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა
- ✓ სტრუქტურის და სტრატეგიის დოკუმენტების საჯარო განხილვები
- ✓ არქივის გაციფრულების პროცესის დაწყება
- ✓ შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით სამუშაო ფორმატების დახვეწა
- ✓ დოკუმენტური ფილმების ტენდერის გამოცხადება
- ✓ 2-3 წარმატებული საგრანტო პროექტი
- ✓ შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულება

2. **სამუშაო პირობების შეცვლა:**
- ✓ ტელევიზიის შენობის მოწესრიგება

3. **თანამშრომელთა ჩართულობის და უნარ-ჩვევების გაძლიერების გეგმა:**
- ✓ თანამშრომელთა შიდა და საზღვარგარეთ სასწავლო პროექტებში ჩართვა
- ✓ თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა - სასწავლო ტენდერის გამოცხადება
- ✓ გასვლითი შეხვედრების მოწყობა

4. **სამაუწყებლო საქმიანობის დაგეგმარების შეცვლა**
- ✓ ყოველდღიური დილის გადაცემის აწყობა
- ✓ გაზაფხულის სეზონის დაწყებისათვის მზადება

5. **შეთავაზება მესამე პირებისათვის**
- ✓ წამყვანების/გადაცემების გასვლითი შეხვედრები აჭარის მუნიციპალიტეტებში
- ✓ საინფორმაციო ლაითბოქსების განთავსება ტელევიზიის შენობაზე

6. **ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა**
- ✓ ტელე და რადიო სიგნალების გავრცელების მუდმივი მონიტორინგის გაგრძელება და შესაბამისი აპარატურის შეძენა
- ✓ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის სტუდიური დიზაინის კორექცია
- ✓ ტექნიკური გადაიარაღების გეგმის კორექცია

7. **ფინანსური საკითხები**
- ✓ 2018 წლის ბიუჯეტირების პროცესის კვარტალური მონიტორინგი

დაგეგმილი აქტივობების უმეტესი ნაწილი შესრულდა. თუმცა გამოწვევად დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა შენობა, ტექნიკური გამართულება და შემოქმედებითი მიმართულებით შიდასამუშაოების სრულყოფილად ჩატარება.

## 3. კვარტალის მიღწევა

- ✓ Human Right Watch დადებითი შეფასება
- ✓ რადიოს სტუდიის განახლება
- ✓ ტელევიზიაში ერთი სტუდიის დამატება
- ✓ თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრთან
- ✓ მონაწილეობა ქართულ-პოლონურ პროექტში
- ✓ მემორანდუმის გაფორმება ფონდთან „ოცნება“
- ✓ მემორანდუმის პირობებზე შეთანხმება ჟურნალისტიკის რესურს ცენტრთან
- ✓ მემორანდუმის გაფორმება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან
- ✓ მემორანდუმის გაფორმება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან
- ✓ საპარტნიორო პირობებზე შეთანხმება „არტარეასთან“
- ✓ პარტნიორობა ტოლერანტობისადამრავალფეროვნებისინსტიტუტთან (**TDI**)
- ✓ „დოიჩე ველეს“ კონკურსში გამარჯვება
- ✓ თანამშრომლობის გაგრძელება დონორ ორგანიზაციასთან „მერსი კორპი“

## 4. კვარტალის გამოწვევა

**მაუწყებლობა გაუმართავი მართვის სისტემის გარეშე -** პირველი კვარტალის ძირითადი გამოწვევა კვლავაც სტრატეგიული გარდაქმნის მოლოდინი და მთავარი სტრატეგიული ამოცანების დეტალიზაციის საჭიროება იყო.

სწორედ ამ საკითხთანაა მიბმული მაუწყებლის მთავარი და ფუნდამენტური პრობლემები: ტექნიკური დაგეგმარება, სახელფასო/საკადრო პოლიტიკა, ბადის ეფექტურად დაგეგმვა / სწორი მართვა და მაუწყებლის სტაბილური მართვის მოდელის შექმნა.

2018 წლის ბიუჯეტის ამოქმედების და 2019 წლის დაგეგმვის დაწყებისას კიდევ უფრო განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ტექნიკური მიმართულების გამართვა. სურვილის მიუხედავად, მაუწყებელმა ვერ მიიღო მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერა HD ხარისხით გავრცელების, მოძრავი სატელევიზიო სადგურისა და მაუწყებლის შენობა-ნაგებობის კონსტრუქციის შესაქმნელად. სამივე საკითხი გადაუჭრელ და ამავე დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემათა შორის რჩება.

ერთწლიანი მუშაობის ფონზე კიდევ უფრო ნათელია, რომ მაუწყებლის ტექნიკის მიმართულება სამივე პლატფორმაზე საჭიროებს გადაიარაღებას და ფუნდამენტურ მიდგომას. ამ დროისათვის დაწერილია მაუწყებლის ტექნიკური განვითარების 5 წლიანი სტრატეგია. საანგარიშო პერიოდში, მას შემდეგ რაც მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 07 თებერვლის სხდომაზე დადგა საკითხი ხელახლა დაუბრუნდეთ სტრატეგიული საკითხების გამართვას, შედგა შიდა შეხვედრები და გადაიხედა აღნიშნული დოკუმენტი. საჭიროა ტექნიკური განვითარების ხედვამ უნდა გაამყაროს საბიუჯეტო დაგეგმარების პროცესი და განჭვრეტადი გახადოს მომდევნო წლების დინამიკა. რაც დღეისათვის მაუწყებელს არ გააჩნია. ტექნიკის შეძენა ხდება მხოლოდ გამოვლენილი ხარვეზების ლოკალურად მოსაგვარებლად. რაც არ არის საკმარისი წინაპირობა განვითარებისათვის. ამგვარი მიდგომით, მაუწყებლის სამომავლო პერსპექტივები ყოველთვის ნაკლებხარისხიანი და ნაკლებპერსპექტიული იქნება.

**საკადრო პოლიტიკა -** სახელფასო ბადის სამართლიანი გადანაწილება კვლავაც ერთ-ერთი საკვანძო თემაა და მიბმულია მაუწყებლის ფუნდამენტური სახელმძღვანელო დოკუმენტაციის გამართვასთან. სხვა შემთხვევაში, არათანაბარი ან არაეფექტურია მმართველობითი ღონისძიებების გატარების პოლიტიკა.

დღეისათვის მაუწყებელში კვლავაც უცვლელი პრობლემებია, რაც ზემოქმედებას ახდენს ადამიანების შრომით განწყობებზე და შედეგზე:

1. სახელფასო გადანაწილება არასამართლიანია
2. დაუსაბუთებელია საშტატო ნუსხის შემადგენლობა და ზოგიერთი პოზიციისათვის მინიჭებული პრივილეგიები
3. არ არსებობს საპრემიო ფონდი, ამავე დროს მაუწყებლის ბიუჯეტთან მიმართებაში შეუსაბამოა პრემიის გაცემის წესი. კერძოდ, პრემიის მიზნებისა და პრემიის ვადების ურთიერთშეთავსება, ისევე როგორც პრემიის ქვედა ზღვარისათვის დადგენილი ციფრი
4. არ არის გაწერილი და ზუსტად გაანგარიშებული თითოეული ადამიანის მონაწილეობის მნიშვნელობა და შექმნილი სარგებლის საფასური
5. ყოველდღიურ ეთერზე პასუხისმგებელ პირთა ანაზღაურებები მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვა ადმინისტრაციული ფუნქციებით დატვირთული ადამიანების ხელფასისაგან.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ პრობლემური საკითხების მოგვარება მიბმულია ფუნდამენტური ცვლილებების ბოლომდე მიყვანასთან: ახალი სტრუქტურისა და სტრატეგიის დოკუმენტის მიღებასთან.

მაუწყებელში საჭიროა გადაიხედოს თანამედროვე მედიაბაზრის მოთხოვნები და დაუყოვნებლივ ჩამოყალიბდეს საჭირო ფორმით სტრატეგიული მიმართულებების შემადგენლობები განვითარების, ახალი ამბების, შემოქმედების, ტექნიკის, ფინანსების და ადმინისტრაციის მართვისათვის.

წინააღმდეგ შემთხვევაში, დღევანდელი მედიაგამოწვევების ფონზე (კონკურენტების გადასვლა HD ხარისხზე, დინამიური/LIVE დაგეგმარება, გასართობი ფორმატების სიმრავლე) სწორად ვერ მოხდება საკვანძო საკითხების დაფარვა და გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო დასუსტდება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების ძიებაში მყოფი ორგანიზაცია, რომლის რეიტინგის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა მისი ფუნქციების მიზნებთან ყველაზე შორს მყოფი მასალები - ე.წ. მექანიკური პროდუქცია. ხშირად არალიცენზირებული მხატვრული კინოფილმები წარმოადგენდა.

ამიტომ, დროულად და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გადანაწილდეს სამუშაო გუნდები და პროცესები.

**მაუწყებლობა შენობის გარეშე -** ინფრასტრუქტურული მოუწყობლობა მაუწყებლის საქმიანობის თანმდევი ურთულესი და მწვავეპრობლემაა. სამწუხაროა, რომ დღემდე მაუწყებელი მთავრობის კუთვნილ ქონებებს იკავებს, რითაც ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული სახელმწიფო ტელევიზიის მოცემულობისაგან.

დღეისათვის დროებითი შენობები სრულიად არ შეესაბამება მაუწყებლის საჭიროებებს. მაუწყებლის ძირითადი ოფისი მეცხრამეტე საუკუნის შენობაა, რომელიც ამავე დროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რადიო კი განთავსებულია მრავალბინიანი კორპუსის პირველ სართულზე, ხშირია შემთხვევა როცა მეზობლებისაგან ჩამოდის წყალი და ზიანდება

როგორც ინფრასტრუქტურა, ისე შეუძლებელი ხდება მუშაობის გაგრძელება. ყოველდღიური საფრთხის წინაშეა რადიოს აპარატურა.

ამავე დროს გაუმართავია სრული ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობისათვის სახიფათოა შრომითი პირობები (უჰაერო, უფანჯრებო ოთახები, ხის შიდა კიბე, მოძველებული სახურავი, საიდანაც წყალი ჩამოდის და ა.შ.)

პრობლემებს ემატება მწერების (რწყილები) და მღრღნელების (თაგვები) მომატება სტუდიებსა და სამუშაო ოთახებში. ხშირ შემთხვევაში, ე.წ. შახტაში მკვდარი მღრღნელების გამო ხშირად გაუსაძლისი/არაადამიანური გარემოა ტელევიზიის ქვედა საერთო სტუდიაში.

აღსანიშნავია, რომ სამსახურების მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ გააჩნია ოთახიც კი. შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად რთულ სამუშაო პირობებშია ტექნიკური ჯგუფები. მაგალითად, მაუწყებლის მძღოლებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში მორიგეობის დროს 10-12 საათს უწევთ მუშაობა, არ აქვთ საკუთარი მოსასვენებელი ოთახი. შემდეგ გადაღებებზე გასვლამდე მოცდა უწევთ ავტომობილში ან დაცვის ოთახში, რომელიც თავის მხრივ, მხოლოდ რამდენიმე სკამითაა აღჭურვილი.ეს და სხვა გარემოება კი მნიშვნელოვნად აუარესებს სამუშაო პირობებს სამსახურში. მთლიანად მორალურადაა მოძველებული შიდა ინფრასტრუქტურა, რას ბუნებრივად აუარესებს შედეგს და ანელებს სამუშაო პროცესს. ნაკლებად პერსპექტიულს ხდის სიახლის დანერგვის შესაძლებლობას.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავაც დღის წესრიგში იდგა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან კომუნიკაცია. საბოლოოდ, შეთანხმდა აჭარის ტელევიზიის შენობის არქიტექტურული გეგმა და გაიწერა ცვლილებების ხარჯთაღრიცხვა, რაც მთლიანობაში დაახლოებით 93 000 ლარზე მეტ ხარჯს მოითხოვს. საჭიროება მოიცავს აჭარის ტელევიზიის მესამე სართულის რეკონსტრუქციას, სამუშაო ოთახების გაფართოებასა და სარკმელებით უზრუნველყოფას, შიდა კიბის ცვლილებასა და გარე ფასადის დამუშავებას, ისევე როგორც აივნების ცვლილებას.

ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული თხოვნას სააგენტო უახლოეს პერიოდში განიხილავს და მაღალი მოლოდინით, საბოლოო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა და აჭარის მაუწყებლის თანამშრომელთა შრომითი პირობების გაუმჯობესება. თუმცა ეს კორექცია ვერ შეცვლის მაუწყებლის მთავარ საჭიროებას ჰქონდეს საკუთარი და მედიაორგანიზაციის საჭიროებაზე გათვლილი შენობა.

მაუწყებლის ინფრასტრუქტურის გამართვა და შრომითი უსაფრთხოების შექმნა ჩვენი მთავარი საზრუნავია, თუმცა არსებულ პირობებში ყოველდღიურად რთული ხდება განვითარებაზე ორიენტირებული მართვა.

**ფილმების სტუდია, როგორც მაუწყებლის სამომავლო პერსპექტივა -** სტრატეგიული დოკუმენტების არარსებობის და შესაბამისად, ფინანსური დაუგეგმავობის ერთ-ერთი საკითხი უკავშირდება ფილმების სტუდიის თემას. მაუწყებელში დასაქმებულ პირთა, მათ შორის მენეჯმენტის მოლოდინია, რომ მაუწყებელს აქვს რესურსი შექმნას ფილმების სტუდია და სამომავლოდ მხოლოდ პრიორიტეტების შესრულების ამოცანიდან გამომდინარე, დაგეგმოს თემატური სამუშაოები. დოკუმენტური ფილმების გარე წარმოებაზე გატანის ხარჯზე მაუწყებელმა უკვე შეძლო ბადის მყარი ზოლების გამართვა (დილის და ღამის გადაცემების სეგმენტით) თუმცა გამოწვევაა დოკუმენტური ფილმების შექენა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის ფონზე. მას შემდეგ რაც პირველი ტენდერი ვერ

შედგა, მაუწყებელში მომზადდა გარეწარმოებით პროდუქციის შეძენის დოკუმენტი და შესასწავლად გადაეცა მრჩეველთა საბჭოს.

საანგარიშო პერიოდში განხილვის საგნად იქცა ტელესპექტალების გადაღების საკითხი. მაუწყებელი ამ მომსახურებას ასევე გარეწარმოებით შეიძენს, სათანადო მომსახურების გამწევი პირის შერჩევის შემთხვევაში.

## 5. „პროგრამა=პრიორიტეტს" - შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

გრძელდებამაუწყებელს გადაცემების განახლებისა და ახლებური დაგეგმვის პროცესი, რათა დამკვიდრდეს მიდგომა/შეფასების სისტემა „პროგრამა=პრიორიტეტს". ამიტომ პრიორიტეტებისა და კანონმდებლობის შესრულების მაჩვენებელზე მთავარი აქცენტი ისევ საეთერო ბადის შემდგომი განახლებისას გაკეთდება.

საეთერო ბადე სრულადგანახლდა იგეგმება სატელევიზიო რეიტინგების მთვლელი ორივე კომპანიის დასკვნების და რეკომენდაციების საფუძველზე. მყარი ბადის სრული ამოქმედება 2018 წლის გაზაფხულიდან დაიწყო, თუმცა კვლავ გასამართია შუადღის ზოლი, რაც სტუდიურ საჭიროებებთანაა კავშირში.

ამ ეტაპზე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება გარეწარმოების კოეფიციენტის შეთანხმება და შესრულება.

**#ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავაც აქტუალური იყო ანალიტიკური და შემოქმედებითი საქმიანობის გამართვა.

სატელევიზიო ბადე მუშავდებოდა რეკომენდაციების და არსებული გამოწვევების გაანალიზების მიხედვით. დროის ამ პერიოდში გადაცემის გუნდები მუშაობდნენ პროგრამული პრიორიტეტების მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა ტექნიკური და ადამიანური რესურსები მწირია იმისათვის, რომ მაუწყებელმა სრულყოფილად და ხარისხიანად შეასრულოს დაგეგმილი სამუშაოები.

პროგრამული დაგეგმარების და შესრულების შესახებ იხილეთ შესაბამისი ცხრილი

**#რადიო - შედეგები და საჭიროებები**

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო აჭარის ძირითად ძალისხმევას ახალ სამ პლატფორმაზე გათვლილი პროექტის, „რადიოვიზიის" დაგეგმარებას მოხმარდა. სპეციალურად ამ გადაცემისთვის შექმნილი გუნდი ახალ ბადეზე და სიუჟეტებზე მუშაობდა. ამავდროულად მოსამზადებელი სამუშაოები მიდიოდა ტექნიკური მიმართულებითაც.

**ტექნიკური ნაწილი**

მომზადდა რადიო აჭარის სტუდიის დიზაინი და რებრენდინგი. დამონტაჟდა ვიზუალიზაციისთვის საჭირო 4 კამერა. „ინოვატორის" მიერ მოწოდებული ტექნიკური პროგრამები და აღჭურვილობა.

**სტაჟირება**
სტაჟირებისპროგრამითრადიოშიმუშაობდნენ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები

**საინფორმაციო**
გაერთიანებულინიუსრუმისპირობებშირადიოსაინფორმაციოგამოშვებებიდაიჯესტისსახით გახ დამეტწილადლაკონური, სასიამოვნოდმოსასმენიდაიოლადაღსაქმელი.

**შენობა - ინვენტარი**
მოცემულ პერიოდში გდაუჭრელ პრობლემად რჩება კონდეცირების სისტემის გაუმართავი მუშაობა. თუმცა, გამოყოფილი სახსრების პირობებში აღნიშნული პრობლემა მომდევნო საანგარიშო პერიოდში უნდა მოგვარდეს. ამ დროისათვის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ განაცხადი გაგზავნილია საქართველოს მთავრობაში.

**#ინტერნეტი- შედეგები და საჭიროებები**

2018 წლის პირველი კვარტალი კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ აჭარის მაუწყებლისათვის აუდიტორიის ინფორმირებულობის მთავარი ინსტრუმენტი თანდათან ხდება ინტერნეტი.ამიტომაც მაუწყებლის განსაკუთრებული ინტერესია გამართოს ვებპლატფორმა, მოხდეს მაუწყებლის სწორი და მყარი პოზიციონირება სოციალურ ქსელებში. გათანამედროვდესის ინსტრუმენტები, რასაც მაუწყებელი იყენებს ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისას.

აჭარის მაუწყებლის ვებ გვერდი, ძირითადად, ფუნქციონირებდა ტელევიზიის მიერ შექმნილი კონტენტით და რადიოსმსგავსად, სრულად და იდენტურად ხდებოდა იმ მასალების ვებ გვერდზე განთავსება. შესაბამისად, მომხმარებლის განწყობების და ქცევის ცვლილებისათვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნება საჭირო.

**სტატისტიკა**

2018 წლის 1 იანვრიდან 11 აპრილის ჩათვლით, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში მომხმარებელთა დინამიკა მზარდია.

საიტზე შემოსულმა უნიკალურმა მომხმარებელმა (ვინც პირველად შემოვიდა საიტზე) 5000+ შეადგინა, ხოლო მასალების მომხმარებელთა რაოდენობა 13-20 ათასამდე მერყეობს (ე.წ. ჰიტები, ნანახი მასალების რაოდენობა).

ვებგვერდისთვის განსაკუთრებით პროდუქტიული იყო თებერვალი და მარტი. ამ პერიოდში, მომხმარებელთა რაოდენობა 6-დან 10 ათასამდე გაიზარდა და მკითხველებს საიტზე რამდენიმე კვირის განმავლობაში ვინარჩუნებდით.

2017 წლის ანგარიშში, ერთ-ერთი ამოცანა საიტზე სტაბილური მომხმარებლის რაოდენობის შენარჩუნება იყო. მაუწყებლის გამოწვევაა ერთჯერადად შემოსული მომხმარებლის შენარჩუნება.

ვფიქრობთ, ამ ნაწილში ჩვენი პოზიციები ოდნავ გამყარდა.

ვებგვერდის საერთო მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში - უნიკალური მომხმარებლის საშუალო მაჩვენებელი თვეში 143,982

რეგისტრაციიდან ყოველდღიურად უნიკალური მომხმარებლის ჯამური რაოდენობა კი 2,150,993-ია.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლის წინ, 2017 წლის მარტში, საიტზე უნიკალური მომხმარებელთა რიცხვი 20-დან 35 ათას უნიკალურ მომხმარებელს შეადგენდა, საიტზე კი დღეში 1000-დან 2000 მდე მომხმარებელი შემოდიოდა.

(წყარო top.ge აჭარის ტელევიზია )

ფბ მომხმარებლები - ბოლო სამ თვეში (1 იანვრიდან 11 აპრილის ჩათვლით) 4600 ლაიქერი და (400 ფოლოუერი) დაგვემატა. (საერთო ჯამში 5000)

დღეის მონაცემებით - ტელევიზიის ოფიციალურ ფბ გვერდს 55 528 – (ფოლოუერი და ლაიკერი ჰყავს)

მომხმარებლების დიდი ნაწილი აჭარაში რეგისტრირებული მომხმარებელია. მას მოსდევს თბილისსა და ქუთაისში რეგისტრირებულები. მაუწყებლის კონტენტით ყველაზე მეტად დაინტერესებულია 25-34 წლის ახალგაზრდები. მათი პროცენტული წილია 33% 53 ათასი

საიტზე ვიზიტორების გარდა, ამ პერიოდიში, გაზრდილი იყო ფბ გვერდებზე მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელიც (კომენტარები, მასალის გაზიარება და ემოციის გამოხატვა). აქტიურად მოგვმართავდნენ მოქალაქეები წერილობითაც.

ინტერაქციაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოხმარებელთა დიდ ნაწილს თვითმმართველობის თემაზე მომზადებული მასალები აინტერესებთ. ასევე, ურბანული საკითხები, გამწვანება, ფინანსები, ემოციური პოზიტიური ამბები. განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ რჩება ავარიები, მკვლელობა, კრიმინალური ამბები.

გაცილებით მეტი ადამიანი ნახულობს ფოტოამბებს და მცირე ზომის ვიდეოებს. მულტიმედიაპროდუქტს.

ჩვენი დაკვირვებით მოქალაქეების აქტიურობა გამოიწვია:

1. კონტენტის მრავალფეროვნება - ამ პერიოდში ტვ დამოუკიდებლად უფრო მეტი მასალა დაიდო ვებზე. თავის მხრივ, ეს მასალები, არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ ღირებულ მედიაპრუდუქტს, თუმცა მას ჰყავდა კონკრეტული აუდიტორია. თემა იყო ჩაშლილი რამდენიმე მიმართულებით და სხვადასხვა პრობლემაზე ამახვილებდა ყურადღებას. მაგ: ზოოპარკის გადატანაზე მომზადდა 4 სტატია - ერთი ეხებოდა ცხოველებს და სტანდარტებს. მერე როგორ ხედავს თვითმართველობა პარკის განვითარებას. მესამე კუთხე მერიის პოზიცია და ხედვები. მეოთხე ვარიანტი მოქალაქეების დამოკიდებულება ამ თემასთან დაკავშირებით. მასალები ერთმაენთისგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა დღეს გაკეთდა, გაილინკა და შესაბამის ინტერესთა ჯგუფებში გადაზიარდა. დასურათდა სპეციალურად გადაღებული ფოტოებით.

2. თემატური ფოტოები - სტატიებზე ტემატური ფოტოების გადაღება - მაგალითად პარლამენტში ან მერიაში მიღებული გადაწყვეტილებების თემებად ჩაშლა და თემატური ფოტოების მოძიება. ვცდილობთ, საიტზე არ მოხვდეს მოსაწყენი ჩინოვნიკების ფოტოები, შეხვედრების ან პარლამენტის სხდომების ე.წ. სტოპკადრები.

3. ფოტორეპორტაჟები - შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ორდღეში მაინც დავდოთ ფოტორეპორტაჟი (შენიშვნა: ფოტორეპორტაჟები სპონტანურია, არასაკმარისი რესურსის და ტექნიკური შესაძლებლობების გამო, თემატური, სტანდარტების შესაბამისი ვიდეოამბები არ გვაქვს).

4. ფეისბუქზე მასალის განთავსების დროს კითხვის დასმა ან პოზიციის გამოხატვის პროვოცირება.

ტელევიზიისა და რადიოს ფბ გვერდზე, სამ თვეში 3006 პოსტი დაიდო (არ ითვლება ტვ გადაცემების ლაიკპეიჯებსა და ჯგუფებში განთავსებული მასალები).

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ცენტრალური მედიაორგანიზაციების ცხრილში, ინტერაქციის კუთხით, აჭარის მაუწყებელი 21 ადგილზეა. 20 ადგილზე on.ge , ხოლო 27 ადგილზე- ნეტგაზეთი.

11 მედია საშუალება გვისწრებს (1 ადგილი რუსთავი ორი, მოსდევს იმედი და პირველი არხი)

ფაქტია, რომ სოციალურ მედიაში ჩვენი პოზიციონირება სწორია, თუმცა საიტზე ამ პოზიციების შენარჩუნება გვიჭირს ტექნიკური გაუმართავობის და მცირე ადამიანური რესურსის გამო.

საანგარიშო პერიოდში, პოსტების გარდა, ფბ აიტვირთა 802 ვიდეო (ამ ვიდეოებში შედის, როგორც ლაივები, ასევე, ვების დამუშავებული ვიდეოები და ანონსები.

საერთო ჯამში, 802 ვიდეო აჭარის ფბ გვერდზე ნახა 803 ათაზე მეტმა მომხმარებელმა, გვერდიდან გაზიარებული ვიდეოები კი (სხვის კედელზე) 450 ათასმა ფბ იუზერმა გახსნა.

რაც შეეხება ლაივებს, 3 თვის განმავლობაში 388 ათასმა ადამიანმა ნახა, თუმცა ლაივი არ უნახავს 901 759 ათასმა.

საერთო ჯამში, ლაივებისა და ვიდეოების ნახვებმა, გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, იკლო.

შესრულებული ტექ. სამუშაო ajaratv.ge

საანაგარიშო საიტზე ნიუსების სახით (ვიდეო, ფოტო, ტექსტი) აიტვირთა საშუალო 3000 მასალა.

არქივი: საიტზე განთავსდა, 2016-17 წლებში გასული გადაცემები, საშუალოდ 200-მდე გადაცემა (საავტორო და ყოველდღიური გადაცემები, რომლებიც თავის დროზე არ აიტვირთა მაუწყებლის გვერდზე).

დამუშავდა თითოეული ვიდეო - დაედო ლოგო, გაიმართა ფორმატი და აღწერილობა.

დარქივება

ყოველდღიურად იტვირთება დღეში მინიმუ 5 გადაცემა. დამატებით მასალები, რომელსაც დამოუკიდებლად ქმნის საიტის თანამშრომლები.

ფოტოარქივი - გადავიღეთ ასობით თემატური ფოტო, ხდება მათი დამუშავება და დახარისხება.

სტაფი ყოველდღიურ რეჟიმში ჩართულია ფბ გვერდების ადმინისტრირებაში, მოქალაქეებთან კომუნიკაცია, კომენტარების მონიტორინგი და ა.შ.

**კვარტალის საგრანტო პროექტები**

1. საანგარიშო პერიოდში მაყურებლებისათვის ხელმისაწვდომი იყო ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტი, რომელიც გულისხმობს აჭარის მაუწყებლისა და „რადიო თავისუფლების“ ერთობლივი გადაცემის„ანარეკლები“ეთერში განთავსებას
2. გაგრძელდა საგრანტო პროექტი მაუწყებელსა და ა(ა)იპ “თავისუფალი ჟურნალისტთა სახლს“ გაფორმებული კონტრაქტი. პროექტი ითვალისწინებს მაუწყებლის გადაცემაში „ჰეშთეგი“ ეთერში საერთაშორისოორგანიზაციისეროვნულიწვლილიდემოკრატიისათვის [NED] მიერდაფინანსებულისაგრანტოპროექტის “დემოკრატიული იდეების და ღირებულებების მხარდაჭერააჭარაში“ (საგრანტო ხელშეკრულების #NED Grant No 2017 - 858) ფარგლებში ყოველკვირეული რუბრიკის „ჩემი უფლება“ მომზადებას.
3. გაგრძელდა მაუწყებელსა და ა(ა)იპ “თავისუფალი ჟურნალისტთა სახლს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის - ქალთა წინააღმდეგ ძალადობის მონიტორინგს, რომელსაც ახორციელებს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ პროექტის ფარგლებში მზადდება საზოგადოებისათვის გასაგები და ვიზუალურად საინტერესო ფორმით ქალთა ძალადობის წინააღმდეგ სოციალური სარეკლამო ვიდეო და აუდიო ტიხარი და ვრცელდება აჭარის ტელევიზიით (გადაცემა “#ჰეშთეგი”) და რადიოთი (დამოუკიდებელიმასალა)
4. საანგარიშო პერიოდში მოიმდინარეობდა მოლაპარაკებები / დაზუსტებები იაპონიის საელჩოში წარსადგენ საგრანტო წინადადებასთან დაკავშირებით.

## 6. ხარისხის კონტროლი - მონიტორინგის ანგარიშები

დაინტერესებული პირებისათვის კვლავაც ხელმისაწვდომია საინფორმაციო ვიდეორგოლი, სადაც თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრის შემოტანის შესაძლებლობაზეა მითითება.[2]

ჩვენი მოვალეობაა ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

დაინტერესებულ პირებს ხარვეზის დაფიქსირებიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვთ მოგვმართოთ განცხადებით და მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა მოითხოვონ.

მაყურებელი, რომელიც შეამჩნევს, რომ ჩვენ საქმიანობაში ხარვეზებია, შეუძლია მოგვმართოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის tvitregulireba@ajaratv.geმეშვეობით. ეს ფორმატი ხაზს უსვამს მაუწყებლის სრულ პასუხისმგებლობას და მზაობას განიხილოს დამფინანსებელთა მოსაზრებები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვითრეგულირების ფარგლებში საჩივარი არ შემოსულა.

მონიტორებმა მოცემულ ვადებში, მონიტორინგი განახორციელეს, მაუწყებლის საეთერო ბადეში ჩაშვებულ გადაცემებზე:

1 **საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება**:“ახალი სივრცე“,“მთავარი დღეს“,“მთავარი აჭარაში“,“კვირის მთავარი“. (სატელევიზიო ნაწილი)
2 **საგამოძიებო ჟურნალისტიკა** : „მრავალკუთხედი“/ „სტუდია-მონიტორი“. (სატელევიზიო ნაწილი)
3 **ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია** : „ვემსახურები საქართველოს“,“კონტექსტი“ (სატელევიზიო ნაწილი)
4 **კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები**: დოკუმენტური ფილმები/გამოწვევები.
5 **სოციალური პროექტები** : „იმპულსი“ (სატელევიზიო ნაწილი)
6 **შემეცნებით-გასართობი პროდუქცია:** „რადიოვიზია“ (რადიოს/ტელევიზია)
7 მაუწყებლის რადიოში მიმდინარე წარმოების შესახებ
8 **ინტერნეტ მაუწყებლობა/ვებ-გვერდები/სოციალური ქსელი**
**9 საბავშვო/მოზარდთა გადაცემები-** პროექტი „იყო და არა იყო რა“
**10 მაუწყებლის რადიოში მიმდინარე პროცესები**
11 **მაუწყებლის ინტერაქტივის პროექტი- მომწოდებელი შ.პ.ს „ჯეოპლიუსი“**
12 **საინფორმაციო პროგრამა „მთავარის“ ერთ კვირიანი მონიტორინგი** ( 23-30 მარტი)

გამოკვეთილი პრობლემებიდან ძირითადია: ტექნიკური რესურსის სიმცირე, სტუდიების ხარვეზი, ადამიანური რესურსის სიმცირე.

საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილება გადაიბარა სამსახურის ახალმა ხელმძღვანელმა.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის ხელმძღვანელი ყოველკვირეულ ესწრება მმართველთა საბჭოს სხდომებს. აკეთებს ყოველკვირეულ პრეზენტაციას ხარისხის ნაწილში. ეს ფორმატი შემოტანილია, რათა სამსახურის უფროსებმა მოკლე ვადებში შეძლონ ცვლილებების გატარება, თუმცა კვლავ დამახასიათებელია განმეორებითი შეცდომები.

[2]თვითრეგულირების შესახებ ვიდეორგოლი https://www.facebook.com/AjaraTV/videos/1284456444963912/

საანგარიშო პერიოდში სამსახური ჩართული იყო შიდა შეფასების სამუშაოებში, რომლის შედეგი ყველა გადაცემის გუნდს გააცნო განვითარების სამსახურმა. ამავე დროს სამსახური მონაწილეობდა მექანიკური პროდუქციის შერჩევის პროცესში.

განსაუთრებული საჭიროებაა და აუცილებლობაა მაუწყებლის ხარისხისა და მონიტორინგს სამსახურის საქმიანობის გაფართოება გარე ფოკუს ჯგუფების - საზოგადოებრივი საბჭოს ფორმატის ამოქმედებით.

## 7. იურიდიული მხარდაჭერა

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მონაწილეობა პროცესებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასრულდა კონკურსის ყველა ეტაპი და შერჩეულია იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელი ჩართული იყო „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილებების პროცესთან დაკავშირებულ დისკუსიაში. ჩვენი მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სტაბდარტი და დამოუკიდებლობა შენარჩუნებული იყოს საჭიროებების სრულად შესწავლით. აჭარის მაუწყებლის საჭიროებებთან დაკავშირებით ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობასთან გაკეთებული მიმართვები/კორესპონდენცია გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

## 8. კვარტლის ტენდერები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა შესყიდვა. მათ შორის:

2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ პირველ კვარტალში გამოცხადდა 22ტენდერი, მათ შორის 1არ შედგა, 1 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 2 ტენდერი არის შერჩევა/შეფასების ეტაპზე, მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება 1 ტენდერზე, ხოლო 17ელექტრონული ტენდერი შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

განხორციელდა 60 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის:

14 საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;

39 სახელმწიფობიუჯეტით;

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა7 ხელშეკრულება.

## 9. ადამიანური რესურსების მართვა: სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

საანგარიშოპერიოდის განმავლობაში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საკითხების თაობაზე მოწვეულმა ექსპერტებმა შეძლეს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება მაუწყებლის თანამშრომლებისათვის.

საანგარიშო პერიოდში ამოქმედდა კორპორატიული დაზღვევის სისტემა.

**მეტყველების გაკვეთილები -** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სავალდებულო იყო მეტყველების გაკვეთილები. მაუწყებლის ინტერესია გაზარდოს თანამშრომელთა უნარ-ჩვევები და გადადგას ახალი ნაბიჯები მედიასკოლის მექანიზმის გამართვისთვის. სტაჟირების პროგრამის მონაწილეებს და ახალ თანამშრომლებს კვლავაც ჰქონდათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ გაკვეთილებს/სპეციალურ კურსს.

**სწავლებებში მონაწილეობა**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის თაამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტრენინგ-კურსებში და კონკურსებში:

1. საერთაშორისო გამოფენები და ლექციები
2. შიდა სწავლებები და ლექციები
3. სამუშაო მივლინებები

## 10. „შემდეგი თაობა“- სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოცხადდასტაჟირების პროგრამა, რაც მოიცავს მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე (ტელევიზია, რადიო და ვები) შემდეგი თაობის პროფესიონალების მომზადებას და მათ ჩართვასმედიაორგანიზაციის საქმეებში. კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული კანდიდატები მაუწყებელში სტაჟირებას მაისის თვიდან დაიწყებენ.

## 11. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

გასული პერიოდების განმავლობაში მაუწყებელმა არაერთხელ დააფიქსირა, რომ ღიაა ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის.

- ✓ Human Right Watch დადებითი შეფასება - საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა
- ✓ თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრთან
- ✓ მონაწილეობა ქართულ-პოლონურ პროექტში, რომლის ფარგლებშიც გადაღებული იქნა ფილმი აჭარის კულტურის შესახებ
- ✓ მემორანდუმის გაფორმება ფონდთან „ოცნება“
- ✓ მემორანდუმის პირობებზე შეთანხმება ჟურნალისტიკის რესურს ცენტრთან
- ✓ მემორანდუმის გაფორმება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან
- ✓ მემორანდუმის გაფორმება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან
- ✓ საპარტნიორო პირობებზე შეთანხმება „არტარეასთან“

- ✓ პარტნიორობა ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან (**TDI**)
- ✓ დოიჩე ველეს კონკურსში გამარჯვება
- ✓ თანამშრომლობის გაგრძელება დონორ ორგანიზაციასთან მერსი კორპი
- ✓ საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის სატელევიზიო ეთერით ხელმისაწვდომი იყო ორი საგამოძიებო ჯგუფის „REC სტუდია“ და „სტუდია მონიტორის“ მასალები
- ✓ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მაუწყებლის ეთერში განთავსებულია ყველაზე სანდო და კვალიფიციური ჯგუფის „ამერიკის ხმის“ მასალები
- ✓ მაუწყებელი და გერმანულენოვანი სამაუწყებლო კომპანია „დოიჩე ველე“ Deautche Welle[3] პარტნიორები არიან. რაც ნიშნავს იმას, რომ მაუწყებელი უფასოდ გადასცემს ევროპული პროდუქციას. მასალები კვლავაც ხელმისაწვდომია მაყურებლებისათვის
- ✓ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ღია იყო თანამშრომლობისათვის სხვა მედიაორგანიზაციებთან. ამ ფორმატში ყველაზე ხშირად ვთანამშრომლობდით სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“, ასევე ტელეკომპანიებთან “tvპირველი” და “იმედი”

## 12. #მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი უკუკავშირის მთავარი ინდიკატორი კვლავაც იყო მაუწყებლის სოციალურ ქსელის მეშვეობით მიღებული შეტყობინებები როგორც ფოტო, ისე ვიდეო სახით.

ამავე დროს, უკუკავშირის სისტემის გამართვა უზრუნველყოფილი იყო ისეთი მექანიზმებით როგორიცაა წამყვანების გასვლითი შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან და მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტთან „თავისუფალი ჟურნალისტთა სახლისა“და გადაცემა ჰეშთეგის ერთობლივი თავამშრომლობით.

ახალი ამბებისა და „ჰეშთეგის“ გუდთან ერთად შევხვდით ამერიკის საელჩოს პროგრამაში მონაწილე პირებს/ მოსწავლეებს აჭარის სხვადასხვა სკოლებიდან.

**ცხელი ხაზი**

[3] დოიჩე ველეს ოფიციალური ვებ გვერდი http://www.dw.com/en/top-stories/s-9097

ამ დროისათვის შექენილია ცხელი ხაზის სპეციალური ნომრები და მომზადდა საინფორმაციო რგოლი მოსახლეობასთან უკუკავშირისა და წყაროების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეები უმეტესად მოგვმართავდნენ შემდეგი პრობლემებით/საკითხებით:

- ✓ პოლიციის მხრიდან შესაძლო ძალის გადამეტება
- ✓ ფაროსანასთან ბრძოლა
- ✓ იპოთეკითდაზარალებულები, ასევეოჯახები,რომლებსაცემუქრებათ გამოსახლება
- ✓ ეკომიგრაცია
- ✓ სოციალურადდაუცველიადამიანებიდასიღარიბისზღვარსმიღმამყოფიოჯახებისმდგომარეობა
- ✓ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- ✓ შრომითი ხელშეკრულებების დარღვევა
- ✓ რამდენჯერმე წერილი გამოგვიგზავნეს საპატიმრო დაწესებულებიდან.

ყველა ზემოჩამოთვლილი თემა გაშუქდა ჩვენი ახალი ამბების და ანალიტიკური გუნდის გამოშვებებში.

## 13. ჩვენი სხვა აქტივობები

**ტექნიკის მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები**

**საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტექნიკის მიმართულებით შემდეგი აქტივობები ჩატარდა:**

1. მოხდა რადიო სტუდიის დეკორაციის შეცვლა. დამონტაჟდა შესაბამისიგანათება.
2. დასრულდა რადიოს ვიზუალიზაციის პროცესი, დამონტაჟდა პროგრამული ნაწილი და კამერები.
3. შევისყიდეთ ციფრული კომუტატორი, რომელიც დამონტაჟდა სტუდია #1 სააპარატოში
4. შევიძინეთ სუფლიორის 2 კომპლექტი, რომელიც დამონტაჟდა სტუდია #1 ში.
5. განხორციელდა ტექნიკური გადაიარაღება ცენტრალურ სააპარატოში (თანამგზავრზე)
6. სტუდია ორში მოხდა გადაცემა აკვარიუმის დეკორაციისა და განათების მონტაჟი.
7. მოძრავ სატელევიზიო სადგურზე და სტუდიებში ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები.
8. ხორციელდება ტექნიკური მონიტორინგი: საკამერო განათების, სამკერდე და ხელის მიკროფონების გამართულობის მიზნით
9. გადამოწმდა რადიოს გავრცელების ხარისხი

**გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაცია**

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, გარემონტდა და პროფილაქტიკა ჩაუტარდა ძალოვან ტრანსფორმატორს, გარემონტდა FM გადამცემის გამაძლიერებლის მოდულატორი, აუცილებელია მარაგი ნაწილების შეძენა რათა მოხდეს სრული დატვირთვით გადამცემის მუშაობა და რეზერვის შექმნა.

ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილქტიკა ჩაუტარდა სერვო-რეგულატორს, სატელიტურ ანტენას, მიმღებ რესივერს და ანტენა-ფიდერულ მოწყობილობას, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქ-ტიკური სამუშაოები. ( თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშა-ოები), რემონტი ჩაუტარდა FM გადამცემ სადგურს, გამიცვალა სატელიტური თავაკი, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). აღდგენილი იქნა დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები, რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, გარემონტდა გადამცემი ანტენები, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა გადამცემი და სატელიტური ანტენა, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლელვას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა გადამცემი სადგურის სიმძლავრის ბლოკი, გამოიცვალა გამაგრილებელი ვენტილატორი, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა გადამცემი სადგურის სატელიტური ანტენა და გადამცემი ანტენა. გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

შეძენილი იქნა სპეც ტანსაცმელი განყოფილების თანამშრომლებისათვის და ელექტო სადენები, აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურებზე სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

**კომპიუტერული უზრუნველყოფა**

საანგარიშო პერიოდში ჩაარდა შემდეგი სამუშაოები:

ფაერვოლისა და როუტერის კონფიგურირება, გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი.

ქსელური მოწყობილობების და საშუალებების ( ქსელის კომუნიკატორი, კაბელი , კონექტორები) მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მოზადება.

სამონტაჟო კომპიუტერების ფასების მოკვლევა,სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მოზადება.

საინფორმაციო სამსახურისთვის გამოყოფილი ქსელის დაპროექტება, ინსტალაცია

ვებ გვერდისთვის ქსელის ენკოდერის ინსტალაცია.

რადიო-ტელევიზია გამოყოფილი ოპტიკური კაბელისთვის ენკოდერისა და დეცოდერის კონფიგურირება.

სოციალურ ქსელში HD ხარისხის სტრიმის უზრუნველყოფა.

ინტერნეტ მაუწყებლობისთვის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.

სტორიჯისა და სერვერის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი.

სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი.

რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი

**ტელევიზიის ბალანსზე რიცხული ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობა:**

| | ა/მ ნომერი | გაწეული მომსახურება | ა/მ მდგომარეობა | GPS |
|---|---|---|---|---|
| 1 | XYX 418 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 2 | CBC 513 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 3 | TUT 238 | ჩამოსაწერია, დგას ორბელიანის №17 | მუშა მდგომარეობაში | არა |
| 4 | CHC 436 | გამოსულია მწყობრიდან. დგას ორბელიანის №17 | გაფუჭებულია | არა |
| 5 | CHC 364 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 6 | BBC 937 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 7 | BBC 938 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 8 | TX-995-XT | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 9 | SSG 554 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 10 | SSG 552 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 11 | SSG 553 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 12 | SSG 494 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 13 | BC-727-BF | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 14 | TUT 298 | ნაავარიებია, დგას ორბელიანის №17 | გაფუჭებულია | არა |
| 15 | CL-377-LC | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 16 | LT-774-TL | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 17 | TT-355-ZZ | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |

**მაუწყებლის განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯები**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2018 წლის პირველი კვარტალური აქტივობების ანგარიში შემდეგნაირია:

- საახალწლო ტიხრების განახლება;
- მუსიკალური კლიპების (ბათუმის ჯგუფები) ჩაწერა;
- საახალწლო ბადის მომზადება;
- როიტერის ორგანიზაციასთან მოლაპარაკება და ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- გადაცემათა შეფასების მულტიფაქტორული კვლევის სამუშაოები, ანალიზი და შედეგების გაცნობა მმართველ და გადაცემათა გუნდებთან;
- სატელევიზიო რეიტინგის ირგვლივ ანალიზის მომზადება და მმართველი გუნდისთვის მიწოდება;
- დაგეგმილი სატელევიზიო ახალი ბადის ანალიზი რეიტინგების მონაცემბთან მიმართებით, გაკეთდა quarter report comparing ანალიზი;
- ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი: გადაცემა დილის ტალღა და ზოგადი - გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები და მიეწოდათ შესაბამის გადაცემებს;
- სატელევიზიო რეიტინგების სატენდერო მუშაობაში ჩართვა;
- საველე კვლევის რეიტინგების სატენდერო კომისიაში მუშაობა;
- ქართული ფილმების შეძენა (19 ფილმი);
- საავტორო დოკუმენტური ფილმების და ტელესპექტაკლების ტენდერის პირობების მომზადება;
- სატელევიზიო ფილმების სტუდიის ფორმირების დოკუმენტის შექმნა
- სარეკლამო ფასების შემუშავება;
- ქალთა კვირეულის დაგეგმვა და გენდერული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთობლივი შეხვედრა;
- DW წარმომადგენლებთან შეხვედრა, განახლებული ბადისთვის ყოველკვირეული 5 გადაცემის მოწოდება;
- DW აკადემიასთან პარტნიორობით აუდიტორიის და მარკეტინგული კვლევების პროექტის შესრულება;
- "ეროვნული ლიგა -2" ფეხბურთის პირდაპირი ტრანსლაცია (5 თამაში);
- განახლებულ ბადეზე მუშაობა, ახალი გადაცემების (რადიოვიზია,აკვარიუმი) განთავსება;
- BBC წარმოების დოკუმენტური ფილმების (100 ფილმი) მოძიება, შერჩევა და ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- საბავშვო ზღაპრების (გერმანული წარმოების 15 ფილმი) შერჩევა და ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

## 14. სამომავლო რისკები და გამოწვევები

ორგანიზაციის 30 წლიანი ისტორიის ანალიზი საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ მაუწყებლის მომავალი დამოკიდებულია ერთის მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან თავისუფალ მუშაობაზე, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებზე იქნება ორიენტირებული. მეორეს მხრივ კი, ამგვარი მდგომარეობის მიღწევა არსებული რესურსების სწორი მართვით, სამუშაო გარემოს შექმნით და სამართლიანი შრომის გადანაწილეობით შეიძლება მოხდეს.

სამომავლო რისკები და გამოწვევებია:

1. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკის შენარჩუნება
2. საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებულობა
3. სამუშაო პირობების შექმნა
4. შრომის ანაზღაურების სამართლიანი ანაზღაურება
5. სამუშაო გრაფიკების სწორად გაწერა
6. პრიორიტეტული საკითხების დაფარვა

საგულისხმოა, რომ ყველა ეს საკითხი სასიცოცხლოდაა მიბმული მაუწყებლის შენობა-ნაგებობების გამართვასთან. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, დღეისათვის მაუწყებელში არ არსებობს მედია საქმიანობისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა. ამ საკითხის გადაწყვეტამდე კი მაუწყებელი ვერ უპასუხებს საზოგადოების მთავარ მოლოდინს - წარმოადგენდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათს. ისევე როგორც შეუძლებელია მაუწყებელი განვითარდეს ორგანიზაციულად სათანადო სტრატეგიული ხედვისა და წინასწარი დაგეგმვის გარეშე.

## 15. გეგმები შემდეგი ანგარიშისათვის

2018 წლის მეორე კვარტალის(იანვარი, თებერვალი და მარტი) მთავარი გამოწვევად რჩებასტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, მყარი საეთერო ბადის სწორი მართვა და განახლებული მაუწყებლობის საბოლოო ფორმის მიცემაა.

**II კვარტალის მთავარი ამოცანები:**

- ✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება
- ✓ პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღნიშვნა
- ✓ შემოქმედებითი მიმართულებით სამუშაო პროცესების გაწერა და დახვეწა
- ✓ საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა
- ✓ სტრუქტურის და სტრატეგიის დოკუმენტების საჯარო განხილვები
- ✓ არქივის გაციფრულების პროცესის გაგრძელება
- ✓ შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით სამუშაო ფორმატების დახვეწა
- ✓ გარე წარმოების კონკურსის ჩატარება
- ✓ 2-3 წარმატებული საგრანტო პროექტი. მათ შორის, იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამაში მონაწილეობა
- ✓ შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულება

**8. სამუშაო პირობების შეცვლა:**

- ✓ კონდინცირების სისტემის გამართვა რადიოში

**9. თანამშრომელთა ჩართულობის და უნარ-ჩვევების გაძლიერების გეგმა:**

- ✓ თანამშრომელთა შიდა და საზღვარგარეთ სასწავლო პროექტებში ჩართვა
- ✓ თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა - სასწავლო გრაფიკის შეთანხმება
- ✓ გასვლითი შეხვედრების მოწყობა

**10. სამაუწყებლო საქმიანობის დაგეგმარების შეცვლა**

- ✓ ზაფხულის სეზონისათვის მომზადება

**11. შეთავაზება მესამე პირებისათვის**

- ✓ წამყვანების/გადაცემების გასვლითი შეხვედრები აჭარის მუნიციპალიტეტებში
- ✓ საინფორმაციო ლაითბოქსების განთავსება ტელევიზიის შენობაზე

**12. ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა**

- ✓ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის სტუდიების შეცვლა

**13. ფინანსური საკითხები**

- ✓ 2019 წლის ბიუჯეტირების პროცესის დაწყება

## სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

## 2018 წლის პირველი კვარტალის

# ფინანსური ანგარიში

2018 წლის პირველ კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 2 312 700,00 ლარს, ფაქტიურად დაიხარჯა 1 890 393,83 ლარი. გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 81,74 %-ს.

2018 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 133 700,00 ლარს, გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 35 665,74 ლარს. გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 26,68 %-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2018 წლის პირველ კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N1).

2018 წლის პირველ კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების თანხა (დღგ-ს ჩათვლით) შეადგენს 57 661,21 ლარს. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N2).

რაულ ბერიძე

ფინანსური ეფექტიანობის
სამსახურის უფროსი

დანართი N1

## სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ
## 2018 წლის I კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

| ხარჯების დასახელება | საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) | | | | საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | იანვარი | თებერვალი | მარტი | სულ | იანვარი | თებერვალი | მარტი | სულ |
| **სულ** | **548 020,71** | **555 572,76** | **786 800,36** | **1 890 393,83** | **0,00** | **14 400,58** | **21 265,16** | **35 665,74** |
| **მრჩეველთა საბჭო** | **12 518,78** | **12 437,24** | **12 433,56** | **37 389,58** | **0,00** | **0,00** | **0,00** | **0,00** |
| მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი | 9 380,00 | 9 380,00 | 9 380,00 | **28 140,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| მრჩეველთა საბჭოს აპარატის მუშაკთა ჰონორარი | 3 000,00 | 3 000,00 | 3 000,00 | **9 000,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საკანცელარიო საქონელი | 72,00 | 0,00 | 0,00 | **72,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| მრჩეველთა საბჭოს მობილური სატელეფონო მომსახურება | 66,78 | 57,24 | 53,56 | **177,58** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| **ადმინისტრაცია** | **159 739,06** | **182 815,37** | **184 958,23** | **527 512,66** | **0,00** | **175,00** | **540,00** | **715,00** |
| თანამდებობრივი სარგო | 112 197,50 | 106 737,50 | 109 435,88 | **328 370,88** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 23 049,25 | 21 920,86 | 22 218,33 | **67 188,44** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 1 065,00 | 935,00 | 440,00 | **2 440,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები | 175,00 | 0,00 | 0,00 | **175,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| დანარჩენი საკანცელარიო ნივთები | 0,00 | 2 475,00 | 0,00 | **2 475,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| ჟურნალ-გაზეთების შეძენა | 0,00 | 49,50 | 136,50 | **186,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| მცირეფასიანი მაცივარის შეძენა | 0,00 | 350,00 | 0,00 | **350,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| მაგიდის და კედლის სანათების შეძენა | 0,00 | 0,00 | 189,00 | **189,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები | 0,00 | 0,00 | 13,00 | **13,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი | 0,00 | 0,00 | 127,00 | **127,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| ელ სადენი და კაბელის აქსესუარების შეძენა | 0,00 | 0,00 | 2 081,82 | **2 081,82** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| პირველადი ბატარეები და ელემენტები | 0,00 | 3 414,92 | 0,00 | **3 414,92** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| თაბაშირ-მუყაოს ხმის საიზოლაციო ფილები, საღებავების, გამხსნელის და ორთქლის მილების შეძენა | 0,00 | 93,62 | 80,00 | **173,62** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება | 338,01 | 802,16 | 630,66 | **1 770,83** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| მობილური ტელეფონების ხარჯი | 1 655,61 | 1 040,54 | 1 079,89 | **3 776,04** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| ინტერნეტით მომსახურების ხარჯი | 0,00 | 1 683,00 | 1 683,00 | **3 366,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტინგი | 0,00 | 975,00 | 1 950,00 | **2 925,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საფოსტო მომსახურება | 16,79 | 281,18 | 59,05 | **357,02** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| ელ.ენერგიის ხარჯი | 7 685,28 | 8 153,92 | 7 691,31 | **23 530,51** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| წყალის და წყალანირების ხარჯი | 0,00 | 206,50 | 262,50 | **469,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი | 202,00 | 202,00 | 202,00 | **606,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საწვავი (ავტომანქანებზე) | 0,00 | 10 266,54 | 9 747,91 | **20 014,45** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საწვავი (ავტომანქანებზე) - 2017 წლის ვალდებულება | 12 823,31 | 0,00 | 0,00 | **12 823,31** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 214,31 | 3 277,00 | 1 635,00 | **5 126,31** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| ტრანსპორტის რეცხვის ხარჯი | 0,00 | 0,00 | 432,00 | **432,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| GPS-ის მომსახურება | 0,00 | 385,14 | 415,26 | **800,40** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი (ტაქსის მომსახურება) | 0,00 | 253,86 | 77,88 | **331,74** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | 0,00 | 0,00 | 100,00 | **100,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან | 0,00 | 0,00 | 30,00 | **30,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| შენობის დაცვა (ორბელიანის 17) | 0,00 | 1 073,80 | 2 147,60 | **3 221,40** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| ადმინისტრაციული შენობის დაცვა | 0,00 | 11 100,00 | 11 100,00 | **22 200,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი | 200,00 | 375,00 | 0,00 | **575,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| კანცელარიის პროგრამის მომსახურება | 0,00 | 240,00 | 240,00 | **480,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საბუღალტრო პროგრამის მომსახურება (სუპერფინი) | 0,00 | 39,00 | 78,00 | **117,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საკორესპოდენტო ბიუროს ოფისის დაქირავების ხარჯი | 0,00 | 950,00 | 1 750,00 | **2 700,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საქ.ტელერადიოცენტრის მიერ ანძებზე დამონტაჟებული აპარატურის შენახვის ხარჯი | 0,00 | 250,00 | 500,00 | **750,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| 112-ს მომსახურების საფასური (ადგილობრივი სატელეფონო მომსახურება) | 0,00 | 14,00 | 14,50 | **28,50** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| 112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელეფონო მომსახურება) | 117,00 | 106,50 | 103,00 | **326,50** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| საკანალიზაციო სამუშაოები (კანალიზაციის მშენებლობა) | 0,00 | 3 856,08 | 0,00 | **3 856,08** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |
| ტანსაცმლის საკიდი (5) | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** | 0,00 | 0,00 | 30,00 | **30,00** |
| HD და USB კაბელების შეძენა | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** | 0,00 | 0,00 | 510,00 | **510,00** |
| ტრენინგი ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** | 0,00 | 175,00 | 0,00 | **175,00** |
| თანამშრომელთა დაზღვევა | 0,00 | 0,00 | 6 825,00 | **6 825,00** | 0,00 | 0,00 | 0,00 | **0,00** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოციალური უზრუნველყოფა (შტატი) | 0,00 | 935,00 | 1 333,33 | 2 268,33 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე) | 0,00 | 372,75 | 148,81 | 521,56 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **ახალი ამბები** | **76 158,59** | **101 947,90** | **83 251,12** | **261 357,61** | **0,00** | **0,00** | **0,00** | **0,00** |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 71 724,00 | 74 067,12 | 74 941,68 | 220 732,80 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 375,00 | 1 120,00 | 1 250,00 | 2 745,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 654,84 | 481,71 | 2 272,52 | 3 409,07 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები (აზერსატი) | 0,00 | 0,00 | 1 212,10 | 1 212,10 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 0,00 | 0,00 | 134,68 | 134,68 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საინფორმაციო მომსახურება "როიტერი" | 0,00 | 23 776,32 | 0,00 | 23 776,32 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 0,00 | 0,00 | 2 641,81 | 2 641,81 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საინფორმაციო მომსახურება " ახალი ამბები " | 0,00 | 295,00 | 590,00 | 885,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3 404,75 | 2 207,75 | 208,33 | 5 820,83 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **მედიაწარმოება და პროდიუსინგი** | **244 926,53** | **203 595,49** | **267 999,30** | **716 521,32** | **0,00** | **13 111,09** | **15 198,17** | **28 309,26** |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 123 498,00 | 122 555,62 | 126 042,10 | 372 095,72 | 0,00 | 11 471,09 | 13 938,58 | 25 409,67 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 4 225,00 | 1 845,00 | 4 128,00 | 10 198,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 600,73 | 9 960,51 | 102,36 | 10 663,60 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო სიგნალის ტრანსლიაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგი | 0,00 | 0,00 | 1 365,29 | 1 365,29 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კლასიკური მხატვრული ფილმების გახმოვანება | 474,00 | 3 049,40 | 10 696,60 | 14 220,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა-გახმოვანება | 116 128,80 | 59 066,04 | 109 085,16 | 284 280,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა | 0,00 | 0,00 | 4 500,00 | 4 500,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საავტორო უფლებების ჰონორარი | 0,00 | 1 644,42 | 1 613,55 | 3 257,97 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სარეკლამო ბანერის განთავსება (ბილბორდი) | 0,00 | 4 968,00 | 9 936,00 | 14 904,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 0,00 | 506,50 | 530,24 | 1 036,74 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სარეკლამო ბანერის და ნაბეჭდი ფირების ბეჭდვა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 192,40 | 192,40 |
| სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 708,05 | 708,05 |
| სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 500,00 | 232,99 | 732,99 |
| ნამზადების შეძენა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 1 140,00 | 126,15 | 1 266,15 |
| **რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა** | **28 823,00** | **26 387,00** | **27 730,00** | **82 940,00** | **0,00** | **0,00** | **0,00** | **0,00** |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 28 823,00 | 26 387,00 | 27 313,33 | 82 523,33 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 0,00 | 0,00 | 416,67 | 416,67 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **ტექნიკური უზრუნველყოფა** | **21 847,11** | **28 314,60** | **197 221,30** | **247 383,01** | **0,00** | **0,00** | **0,00** | **0,00** |
| პრინტერების შეძენა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში | 0,00 | 0,00 | 2 963,58 | 2 963,58 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კატრიჯების შეძენა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში | 0,00 | 0,00 | 3 382,38 | 3 382,38 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო ტექნიკის რემონტი | 0,00 | 0,00 | 60,00 | 60,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სპეც.ტანსაცმელი და უსაფრთხოების აქსესუარები | 0,00 | 0,00 | 995,00 | 995,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი) | 19 662,40 | 0,00 | 39 131,20 | 58 793,60 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 2 184,71 | 0,00 | 4 347,92 | 6 532,63 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური | 0,00 | 18 260,00 | 36 520,00 | 54 780,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი | 0,00 | 250,00 | 250,00 | 500,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მიმღებ/გადამცემი აპარატურის შენობის სახურავის იჯარა | 0,00 | 400,00 | 800,00 | 1 200,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ციფრული ვიდეო კომუტატორი | 0,00 | 9 404,60 | 0,00 | 9 404,60 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სუფლიორის კომპლექტი (2) | 0,00 | 0,00 | 11 080,20 | 11 080,20 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| რადიო ვიზუალიზაციისთვის აპარატურა | 0,00 | 0,00 | 97 691,02 | 97 691,02 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **სხვა გადასახდელები** | **4 007,64** | **75,16** | **13 206,85** | **17 289,65** | **0,00** | **1 114,49** | **5 526,99** | **6 641,48** |
| არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ | 3 932,48 | 0,00 | 13 131,69 | 17 064,17 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 1 114,49 | 5 526,99 | 6 641,48 |
| დასუფთავების მოსაკრებელი | 75,16 | 75,16 | 75,16 | 225,48 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |

რაულ ბერიძე
ფინანსური ეფექტიანობის
სამსახურის უფროსი

დანართი N2

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის I კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

| | |
|---|---|
| შემოსავლები სატელევიზიო ეთერში ბანერის, პროდუქტის და სასპონსორო ტიხრების განთავსების მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 400,00 |
| შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 19 170,94 |
| შემოსავლები სხვა მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 78,00 |
| შემოსავლები ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"-ს დაფინანსებით | 34 224,47 |
| შემოსავლები "ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი"-ს დაფინანსებით | 3 787,80 |
| **სულ** | **57 661,21** |

რაულ ბერიძე

ფინანსური ეფექტიანობის

სამსახურის უფროსი